**დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მრჩეველთა საბჭოს სხდომის**

**ოქმი N1**

ქ. დმანისი 2023 წლის 06 ნოემბერი

„დმანისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 3 ნოემბრის N ბ108.1082330717 ბრძანებით

**დმანისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ შემადგენლობა**

1. ჯუმბერ კოპალიანი;
2. ალმაზ ალაზოვი;
3. რამილ ასლანოვი;
4. ზაურ გრიგალაშვილი;
5. ინტიზამ ვეზიროვი;
6. ლია კვიციანი;
7. სოფო დევნოზაშვილი;
8. სენზორი ხორბალაძე;
9. ლეილი შარიფოვა;
10. ეკა ოქრიაშვილი;
11. ვიკა ყულიაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: სხდომის თავმჯდომარე კობა მურადაშვილი, **დმანისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები,** ალმაზ ალაზოვი; რამილ ასლანოვი; ზაურ გრიგალაშვილი; ინტიზამ ვეზიროვი; სენზორი ხორბალაძე; ლეილი შარიფოვა; ეკა ოქრიაშვილი და ვიკა ყულიაშვილი.

ასევე ესწრებოდნენ დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები და მუნიციპალიტეტის მერის ახალგაზრდული სათათბიროს წევრები.

მუნიციპალიტეტის მერმა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გააცნო საბჭოს შექმნის არსი და მნიშვნელობა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისი“ 86[1] - ე მუხლის შესაბამისად განსახილველად წარუდგინა დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და მომავალ წელს განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ესაუბრა .

აზრი გამოთქვეს: ეკა ოქრიაშვილმა, ალმაზ ალაზოვმა; რამილ ასლანოვმა; ზაურ გრიგალაშვილმა; ინტიზამ ვეზიროვმა; სენზორი ხორბალაძემ; ლეილი შარიფოვამ და ვიკა ყულიაშვილმა. რომლებმაც განმარტეს, რომ გაცნობილნი არიან ბიუჯეტის ზოგად პრინციპებს.

სამოქალქო მრჩეველთა საბჭოს წევრების მიერ მოწონებული იქნა 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურულ პროექტები, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების მიმართულებით 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა, ასევე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 3 ერთეული ავტობუსის (მუნიციპალური ტრანსპორტი) შეძენის ფაქტი, ახალგაზრდული სათათბიროს წევრების მიერ მოწონებული იქნა მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული პროგრამების დაფინანსების ზრდა

ეკა ოქრიაშვილმა აღნიშნა, რომ მისასალმებელია შემდეგი ფაქტი, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია ხანდაზმულთა ღირსეული დაბერებისა და შინ მოვლის პროექტის თანადაფინანსების პროგრამა.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია უპატრონო ცხოველების (ძაღლი/კატა) მოვლითი ღონისძიებები .

ზაურ გრიგალაშვილი დაინტერესდა შიდა მუნიციპალურ გზებზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებით და აღნიშნა, რომ სამუშაოები მიმდინარეობს კარგი ტემპით და მისასალმებელია, რომ 2024 წლის ბიუჯეტში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მსგავსი ტიპის ინფრასტუქტურული პროექტებისათვის თანხები.

**დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მრჩეველთა საბჭომ გადაწყვიტა:**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისი“ 86[1] - ე მუხლის შესაბამისად მოწონებული იქნას დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინოს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

სხდომა თავმჯდომარე: კობა მურადაშვილი